

ჰერცოგინია დე როანი

კავკასიის აღმოჩენები

1909 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ მარი-მარგარეტ-ერმინი დე როან-შაბო (1893-1926) – პარიზის მაღალ საზოგადოებაში ცნობილი ფიგურა, პოეტესა, ფრანგი პოეტების საზოგადოების წევრი¹, საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწის, მეთერთმეტე ჰერცოგის – ალენ დე როან-შაბოს² მეუღლე და მათი ერთ-ერთი ქალიშვილი, მარი³, პრინც ლიუსიენ მიურას⁴ მეუღლე.

ერმინის დე როანის თხზულებას ერთვის შემდეგი მიძღვნა: „ამ მოკრძალებულ სტრიქონებს ვუძღვნი მის უმაღლესობა პრინცესა სალომე მიურას⁵, რომელმაც შეუდარებელი თავაზიანობით გამიღო თავისი ზღაპრული კავკასიის კარი“.

ფრანგი ჰერცოგინია სხვა მოგზაურთა მსგავსად გვაწვდის ცნობებს თბილისის მოსახლეობის შესახებ.

Duchesse de Rohan. Les Dévoilées du Caucase; Notes de Voyage. A Son Altesse, La Princesse Salomé Murat qui m'a fait ouvrir avec une grace sans pareille les portes de son modestes lignes merveilleux Caucase, je dédie ces modestes lignes. Paris, S.d.

Les places, les ruelles, les carrefours du quartier oriental sont sillonnés de chevaux, de mulets, d'ânes porteurs de charges inouïes: les Persans à longs caftans, les Turcs à turbans, toute la réunion des différents orientaux venus des confins de l'Asie est là; cette cohue d'hommes et d'animaux circule adroitement et donne à ce quartier une animation absolument extraordinaire. (60)

აღმოსავლური უბნის მოედნები, ჩიხები და გზაჯვარედინები სავსეა ძლიერ დატვირთული ცხენებით, ჯორებითა და ვირებით: სპარსელები გრძელ ხიფთანებში, დოლბანდიანი თურქები, აქ იყრის თავს აზიის საზღვრებიდან მოსული სხვადასხვა ხალხი; ადამიანებისა და პირუტყვის ეს ხმაურიანი ორომტრიალი ოსტატურად მოძრაობს და ამ უბანს სრულიად არაჩვეულებრივ სიცოცხლეს ანიჭებს.

Les rues de la nouvelle ville sont excessivement larges; la pharmacie centrale, au quartier allemand, est immense: elle contient les drogues de tous les pays du monde, même des cure-dents parfumés, ce qui est un raffinement des plus agréables. (66)

¹ ერმინი დე როანმა პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი სახლი პარიზში, სადაც მას ლიტერატურული სალონი ჰქონდა, სამხედრო ჰოსპიტლად აქცია და უვლიდა დაჭრილებს. სამოქალაქო თავდადებისთვის დაჯილდოებულ იქნა საპატიო ლეგიონის ორდენით (Archives nationales, N L2368076) და საფრანგეთ-იტალიის დირსების მედლით – „La médaille de la Reconnaissance“. ამ ომში დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი, ჟოსლენი (1879-1914), XII ჰერცოგი როან შაბო.

² ალენ შარლ ლუი დე როან-შაბო (1844-1914) – მეთერთმეტე ჰერცოგი დე როანი, ფრანგი პოლიტიკოსი, 1876-1914 წლებში ის მორბიანის დეპარტამენტის დეპუტატი იყო.

³ მარი დე როან-შაბო (1876-1951) 1897 წელს ცოლად გაჰყვა ლუსიენ მიურას, დაქვრივების შემდეგ, 1934 წელს ის ცოლად გაჰყვა ფრანგ დიპლომატსა და მწერალს, შარლ დე შამბრუნს (1875-1952).

⁴ ლუსიენ შარლ დავიდ მიურა (1870-1933) – სალომე დადიანი-მიურასა და აშილ მიურას უფროსი ვაჟი.

⁵ იგულისხმება პრინცესა სალომე, პრინც აშილ მიურას მეუღლე, დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი.

ახალი ქალაქის ქუჩები ძალიან ფართოა; გერმანულ უბანში უზარმაზარი ცენტრალური ავთიაქია: იქ მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამალი და სურნელოვანი კბილის საჩიჩქნებიც კი იყიდება, რაც ძალზე სასიამოვნო დახვეწილობაა.

Voici le bazar oriental, dans le quartier du même nom, où se déploie le faste des beaux tapis; le bazar des orfèvres, avec ses bijoux de turquoises, d'émail, de filigranes, est un éblouissement. Les étoffes, les voiles, les (65) écharpes, les armes anciennes et modernes, forment un chatoyant pêle-mêle. Les Persans, gravement assis à la devanture, fument silen cieusement; aucune femme à leurs côtés; elles sont sur leurs balcons, humant l'air frais du soir, voyant tout ce qui se passe, par l'entrebâillement des tentures, entendant le jacassement de la rue; mais fines, prudentes, elles mettent autant de soin à se cacher qu'à écouter. Ces échoppes contrastent singulièrement avec leurs riches parentes des boulevards, elles sont infiniment plus amusantes pour le voyageur, mais les autres luttent d'élégance avec les plus beaux magasins de la rue de la Paix. Les indigènes ont ici pour chaque rôti un bois spécial: la broche du mouton n'est pas celle du chevreau; on choisit le bois dont l'arôme s'harmonise avec celui de la chair. Les ouvriers et les 'paysans se nettoient les dents, après chaque repas, avec une feuille odorante et saine. On se fait cirer les souliers je ne sais combien de fois par jour, aussi le métier de brosseur est-il fort en vogue. Beaucoup de massages dans les bains. Les ongles des cultivateurs sont soignés et polis comme ceux des plus oisifs Européens (66). Les habitudes orientales sont intéressantes à observer dans les classes populaires; c'est chez elles qu'on étudie les différences de races. (66)

აი აღმოსავლური ბაზარი ამავე სახელწოდების უბანში, სადაც ლამაზი ხალიჩების ბრწყინვალეობა იშლება; ოქრომჭედლების ბაზარი თვალისმომჭრელია თავისი ფირუხებით, მინანქრითა და ფილიგრანული სამკაულებით; ქსოვილები, ვუალები, შარფები, ძველი და თანამედროვე იარაღი მოციმციმე არეულობას ქმნის. სპარსელები მედიდურად სხედან თავიანთი დუქნების წინ და მშვიდად ეწევიან; მათ გვერდით არც ერთი ქალი არ არის; ისინი სადამოს სუფთა ჰაერს თავიანთ აივნებზე სუნთქავენ, ოდნავ გადაწეული ფარდიდან ხედავენ ყოველივეს, ესმით ქუჩის ხმაური, მაგრამ ჭკვიანები და ფრთხილები, ისეთივე გულმოდგინებით იმალებიან, როგორც უსმენენ. ეს დუქნები განსაკუთრებულ კონტრასტს ქმნიან ბულვარზე მდებარე მდიდარ მაღაზიებთან და მოგზაურისთვის ბევრად უფრო სახალისოა, მაღაზიები კი თავიანთი ელეგანტურობით la rue de la Paix-ს⁶ მაღაზიებს არ ჩამორჩება. ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა ხორცის შესაწვავად სპეციალური შეშა აქვს: ცხვრის შესაწვავი შამფური განსხვავდება თიკნის შესაწვავი შამფურისაგან; ისეთ ხეს ირჩევენ, რომლის არომატი ხორცისას შეეფერება. მუშები და გლეხები ყოველი ჭამის შემდეგ კბილებს სურნელოვანი და ჯანსაღი ფოთლით იწმენდენ. არც კი ვიცი, დღეში რამდენჯერ აპრილებინებენ ფეხსაცმელს და ამიტომ ფეხსაცმლის მწმენდავის ხელობა დიდ მოდაშია. აბანოში ბევრ მასაჟს აკეთებენ. მიწათმოქმედების ფრჩხილები ისეა მოვლილი და გაპრიალებული, როგორც ეს უსაქმოდ მყოფ ევროპელებს აქვთ. აღმოსავლურ ადათ-წესებზე დაკვირვება საინტერესო დაბალი ფენის მოსახლეობაზეა, რადგან სწორედ მათ შორის ვსწავლობთ რასებს შორის განსხვავებებს.

Les Géorgiennes ont une grande réputation de beauté; leurs boucles foncées, leur bandeau de velours noir sur le front, le voile de dentelle rejeté en arrière et la robe brodée à queue (67) donnent à leur démarche une aristocratique dignité. (67)

⁶ La rue de la Paix – მოდური სავაჭრო ქუჩა პარიზის ცენტრში.

ქართველი ქალი ცნობილია თავისი სილამაზით; მათი მუქი კულულები, შუბლზე შავი ხავერდის სარტყელი, უკან გადაგდებული მაქმანის ვუალი და შლეიფიანი მოქარგული კაბა მათ სიარულს არისტოკრატიულ ღირსებას ანიჭებს.

Les Géorgiens, marchands de légumes ou de poissons, portent les denrées dans un baquet sur la tête. Les Persans richement vêtus; les Séïds et les Mollahs tartares à robes flottantes et à turbans; les Tartares aux cheveux rasés, avec leur poignard à la ceinture; les Arméniens mal tenus; tous les représentants armés de peuplades montagnardes; les portefaix lourdement chargés; les piétons, les cavaliers, toute cette foule bariolée, animée, bruyante, contribue à donner cette impression d'éblouissement et de charme que l'on éprouve à Tiflis. (68)

ბოსტნეულისა თუ თევზის გამყიდველ ქართველ კაცებს სურსათი თავზე შემოდგმული სინებით დააქვთ. მდიდრულად ჩაცმული სპარსელები; თათარი სეიდები⁷ და მოლები ჩალმებითა და ფრიალა სამოსით; თავგადაპარსული თათრები ქამარში გარჭობილი ხანჯლებით; დაუდევრად ჩაცმული სომხები; ყველა ჯურის შეიარაღებული მთიელი; ძლიერ დატვირთული მეზარგულები; ფეხით მოსიარულები, ცხენოსნები – მთელი ეს ჭრელი, მოძრავი, ხმაურიანი ბრბო თვალისმომჭრელ შთაბეჭდილებასა და იმ ხიბლს ქმნის, რასაც თბილისში განიცდი.

Nous sommes invitées à dîner chez la princesse Moukranski, dont la famille historique est intimement liée aux annales de la Géorgie; c'est la tante de Lucien.

ვახშმად პრინცესა მუხრანსკისთან⁸ დაგვპატიჟეს, რომლის ოჯახის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ანალებთან; ის ლუსიენის დეიდაა.

Le palais Moukranski, est vaste, confortable. Nous dînons sur une terrasse fermée; les murs couverts de feuillage flattent la vue.

მუხრანსკების სასახლე დიდი და კომფორტულია. ჩვენ დახურულ ტერასაზე ვვახშმობთ; თვალს სიამოვნებს ფოთლებით დაფარული კედლები.

La princesse, veuve, sans enfants, est entourée de ses nièces, les filles de la princesse de Géorgie: la princesse Lise Orbéliani qui traduisit (68) en vers français le Démon de Lermontoff (poète russe); la princesse Jean Eka Ratief, sa sœur, et la princesse Chervachidza née Nicolaï, ma cousine. Demain, grand festin dans ce palais hospitalier en l'honneur du vice-roi, le comte Vorontzoff; toute la société, le high lifede Titlis, y sera réuni.

პრინცესა ქვრივია და უშვილო, გარს დისშვილები (ძმისშვილები?), საქართველოს პრინცესას ქალიშვილები ახვევიან: პრინცესა ლიზა ორბელიანი⁹, რომელმაც ფრანგულად თარგმნა რუსი პოეტის, ლერმონტოვის „დემონი“; მისი და, პრინცესა ჟან ეკა რატიევი¹⁰ და პრინცესა შერვაშიძე, ქალიშვილობაში ნიკოლაი¹¹, ჩემი კუზინა. ხვალ ამ სტუმართმოყვარე

⁷ სეიდი – ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმ მუსლიმების ტიტული, რომელთაც მუჰამადის შთამომავლებად ყოფნის პრეტენზია აქვთ.

⁸ იგულისხმება სალომე დადიანი-მიურას მამიდაშვილის, კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის (1838-1903)* მეუღლე ელისაბედ ფალავანდიშვილი (1840-1916).

*ლევან V დადიანის ქალიშვილი ნინოსა (1816-1886) და ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის (1812-1895) ვაჟი.

⁹ ელისაბედ ორბელიანი (1870-1943) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. მისი მამა, ირაკლი ბატონიშვილი, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი და ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო, მისი დედა, თამარი, დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი იყო. ელისაბედ ორბელიანი ცოლად გაჰყვა მამუკა ორბელიანს (1873-1924).

¹⁰ ეკატერინე რატიევი (1872-1917) – ივანე რატიშვილის მეუღლე (1869-1958), ელისაბედ ორბელიანის უმცროსი და.

¹¹ იგულისხმება მარიამი (1859-1919) – ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის (1821-1899) და სოფიო ჭავჭავაძის (1833-1862) ქალიშვილი, გიორგი შერვაშიძის (1847-1918) მეუღლე.

სასახლეში დიდი ზეიმი გაიმართება მეფისნაცვლის, გრაფი ვორონცოვის, პატივსაცემად; იქ შეიკრიბება თბილისის მთელი მაღალი საზოგადოება.

Nous montons en automobile avec monsieur et madame Roth, propriétaires de notre hôtel, pour aller déjeuner dans la montagne. (69)

ჩვენი სასტუმროს [„ორიანტის“¹²], მფლობელებთან, ბატონ და ქალბატონ როთებთან ერთად მანქანით მთაში სასაუზმოდ მივემგზავრებით.

თარგმნა ირინე ნაჭყებია

¹² დავით ხოშტარის ცნობით, სასტუმრო „ორიანტის“ (l'hôtel d'Orient) შენობა, რომელიც 1865-1867 წლებში აიგო ოტო სიმონსონის პროექტით, თავიდან საოლქო სასამართლოსა და სასამართლო პალატას ეკავა. 1894 წელს შენობა ნ. მირიმიანოვმა შეიძინა და ალბერტ ზალცმანის პროექტით სასტუმროდ გადააკეთა (ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები, 60).